

საინფორმაციო საზოგადოება და კიბერუსაფრთხოება

დავით ბურჭულაძე, გიორგი მაისურაძე, თამარ ქიტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია 21-ე საუკუნეში საზოგადოების ინფორმაციზაციასთან დაკავშირებული მდგომარეობა და პრობლემები, ინფორმაციის გავრცელების მეთოდები და ინფორმაციის, როგორც თავისებური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის არსებობა. ახსნილია თუ რამდენად დიდ საშიშროებას წარმოადგენს რაიმე კონკრეტული ინფორმაციის გაჟონვის მოვლენა და მისი არასასურველ ხელში მოხვედრა. გამომდინარე აქედან, ცხადად არის ნაჩვენები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღესდღეობით ინფორმაციის დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი დაკარგვა და ამის შედეგად გამოწვეული პრობლემებიც. სტატიაში ხაზგასმულია კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა, საინფორმაციო საზოგადოების როლი მთლიანად და სახელმწიფოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია. ინფორმაციზაცია. საინფორმაციო საზოგადოება. კიბერუსაფრთხოება.

1. შესავალი

წარმოდგენილ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ინფორმაციის დაცვის და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობას, რა როლს ასრულებს ინფორმაცია მთლიანად საზოგადოებისათვის და აგრეთვე სახელმწიფოსთვისაც, მათ შორის საქართველოს ფარგლებშიც და მის გარეთ. ობიექტურად არის გაანალიზებული და განსაზღვრული თითოეული საკითხი, სრულფასოვნადაა გადმოცემული დღევანდელი მდგომარეობა აღნიშნულ სფეროში, თავისი პრობლემებით და უპირატესობებით.

2. ძირითადი ნაწილი

ინფორმაციის ცნება დღესდღეობით გამოიყენება საკმაოდ ფართოდ და მრავალმხრივად. დიდი ინფორმაციული ნაკადები მოედინება და ბრუნავს ადამიანების ირგვლივ. შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნე არის ინფორმაციაზე უკანონო „ნადირობის“ ბოროტმოქმედება, ამდენად წარმოიშვა ინფორმაციის დაცვის აუცილებლობაც.

საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ტენდენციასთან საბრძოლველად საჭიროა ინფორმაციული რესურსების დაცვის პროცესის მიზანმიმართული ორგანიზაცია [1]. მასში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პროფესიონალი სპეციალისტები, ადმინისტრაცია, თანამშრომლები და მომხმარებლები, რაც აამაღლებს პრობლემის გადაწყვეტის ორგანიზაციულ მხარეს.

ინფორმაციული უსაფრთხოება, ისევე როგორც ინფორმაციის დაცვა, კომპლექსური და რთული ამოცანაა. იგი მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სპეციალური უსაფრთხოების სისტემის დანერგვისაკენ [2]. ინფორმაციის დაცვა მთელი რიგი კომპანიებისათვის საკმაოდ პრობლემური საკითხია და მოიცავს არაერთ ამოცანას. ინფორმაციის დაცვა უნდა მოხდეს

ყველა იმ შემოტყევისაგან, რომელსაც ე.წ. „Adversaries” გვიწოდებენ, ესენი შეიძლება იყოს შემდეგი ჯგუფის წარმომადგენლები: Terrorist, Criminals, Hackers, Government და ა.შ. [3]

საინფორმაციო საზოგადოების შექმნა გლობალური პროცესია. ადამიანის საარსებო გარემოში საინფორმაციო სივრცე ყველგან წამყვან ადგილს იკავებს. ამ სივრცეში ჩართვის, თანამედროვე ინფოკომუნიკაციების, საინფორმაციო პროდუქტების წარმოება-მოხმარების გარეშე, არათუ რამის გაკეთება, არამედ უკვე წარმოებული საქონლის მოხმარებაც კი უფრო და უფრო რთულდება, ხშირად კი სულაც შეუძლებელი ხდება.

მე-20 საუკუნის ბოლოს მომხდარმა საინფორმაციო ტექნოლოგიურმა რევოლუციამ დღევანდელი სამყარო უდიდესი სოციალური გარდაქმნების წინაშე დააყენა. ასეთი ცვლილებები შეუქცევადია და საყოველთაო.

გლობალურ ქსელს - ინტერნეტს ბევრ სიკეთესთან ერთად გააჩნია უარყოფითი მხარეები, რომლებსაც ინტერნეტ მომხმარებლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. თუმცა ინტერნეტ საფრთხეებს შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს როგორც კონკრეტულ პიროვნებას, ასევე ადამიანთა ჯგუფს, ორგანიზაციას, დაწესებულებას ან მთლიანად ქვეყანას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი შედეგი გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნაა, რომელშიც სრულიად ახალი ტიპის, საინფორმაციო ურთიერთქმედებებზე დამოკიდებული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები ყალიბდება. ახალი ურთიერთობანი ცივილიზაციის ახალი ეტაპის - საინფორმაციო საზოგადოების შექმნას მოასწავებს.

მსოფლიო მრავალფეროვნებისა და განვითარების უთანაბრობის მიუხედავად, გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი ცვლილებები ნებისმიერი პიროვნების, სოციალური ჯგუფის, ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას იძენს.

მსოფლიო განვითარების უმთავრესი ტენდენცია - საინფორმაციო საზოგადოების შექმნა - ცვლის განვითარებული ქვეყნების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. მათ შორის საქართველოსთვისაც არსებობს ალტერნატივა: თავისუფალი ეროვნული განვითარების პერსპექტივის უზრუნველყოფა, ანდა გაქრობა. გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში შესაბამისად კარი ყველასთვის ღიაა და არ არსებობს არანაირი დისკრიმინაცია, მაგრამ აუცილებელია როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიური, აგრეთვე შესაბამისი სოციალური შინაარსის მქონე აღჭურვილობა, ასევე ისეთი სოციალური გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მათი თავისუფალი, ეფექტიანი, შემოქმედებითი და ეროვნული ინტერესების შესაბამისი გამოყენება.

ქვეყნის წარმატებული აღმშენებლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პირობათა უზრუნველყოფის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ამოცანები. საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება, ინფორმატიზაცია საერთო ეროვნული ამოცანა და პრობლემაა, მის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის სამეწარმეო სექტორი, საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები და განსაკუთრებული უნდა იყოს სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი.

საზოგადოებრივად აუცილებელი საწარმოო, მოხმარებისა თუ დაგროვების სხვადასხვა რესურსების შექმნა-განაწილების და მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოუდგენელია ინტენსიურ საინფორმაციო ურთიერთქმედებათა გარეშე (პროექტი თვითმმართველობის ერთეულის ინფორმაციის კონცეფცია).

გლობალური საინფორმაციო სივრცეში საინფორმაციო ურთიერთქმედებათა მზარდი მნიშვნელობის გამო პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანამედროვე განვითარების საინფორმაციო გარემოზე დამოკიდებულება სულ უფრო მზარდი და ყოვლისმომცველი ხდება [2].

ისევე, როგორც ინდუსტრიულ ეპოქაში რკინიგზა მოგვევლინა კომუნიკაციის ახალ საშუალებად, ასეთ საშუალებას საინფორმაციო ხანაში წარმოადგენს ინტერნეტის ქსელი. ის ხელს უწყობს პარტნიორებთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, შემოსავლის ახალი წყაროების შექმნას, ხარჯების შემცირებას. ხალხი თავისი მთავრობისაგან ელის სახელმწიფო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ეფექტიანობის ზრდას და ხარჯების შემცირებას.

საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება ბევრ ორგანიზაციას უბიძგებს ელექტრონული მთავრობის კონცეფციის გათავისებებას. ამ კონცეფციის მიზანია:

- ა) მოსახლეობას შესთავაზოს ინტეგრირებული მომსახურება ინტერნეტის ქსელით [4];
- ბ) აღმოფხვრას საინფორმაციო უთანასწორობა;
- გ) უზრუნველყოს მოქალაქისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების საშუალება;
- დ) მოსახლეობასთან ურთიერთობის გარდაქმნა;
- ე) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ვ) სწორი პოლიტიკის და კანონების შემუშავება;
- ზ) მოქალაქეთა მონაწილეობით მართვის ახალი ფორმების შექმნა.

ქვეყნები, რომლებიც ფლობს მსოფლიოში ყველაზე მაღალ განვითარებულ ინფოკომუნიკაციებს, აქვს მძლავრი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ინფორმაციის ტექნიკო-ტექნოლოგიური ბაზა და ყველაზე კომფორტული საინფორმაციო გარემო, დაადგინენ ცივილიზაციის ახალი საფეხურის - საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ზღურბლთან [5].

გლობალური საინფორმაციო საზოგადოება თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ახალი ეტაპია, რომელსაც ახასიათებს:

- ა) ინფორმაციისა და ცოდნის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ცხოვრების ყველა სფეროსთვის;
- ბ) გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა;
- დ) ახალ ტექნოლოგიურ წყობათა შექმნა და მათი შემდგომი დომინირება;
- ე) შრომის ბაზარზე მოთხოვნილების წამყვან მახასიათებლებად მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითი ნიჭის გადაქცევა;
- ვ) ადამიანისა და მოქალაქის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა უზრუნველყოფის, მოსახლეობისა და ხელისუფლების ურთიერთქმედების ეფექტიანი სისტემების მზარდი განვითარება.

განვითარებულ, პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ეფექტიანად ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, ჩამოყალიბებულია ღია დემოკრატიული საზოგადოება, მიღწეულია თვითსტიმულირებადი ტექნოლოგიური ზრდა, არსებობს მოსახლეობის გადახდისუნარიანი საშუალო კლასი, პროგრესირებადი საყოველთაო მოთხოვნა საინფორმაციო პროდუქტსა და მომსახურებაზე, შექმნილია საინფორმაციო პროდუქტის და მომსახურების მძლავრი ინდუსტრია და ა. შ.

ეს ყოველივე ამ ქვეყნებში საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ყველა, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობის რეალიზაციის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ წარმატებული წინსვლა საინფორმაციო საზოგადოებისაკენ მოწინავე ქვეყნების გეოპოლიტიკურ მიზნებსა და პრიორიტეტებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და მათი ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედაა.

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის განვითარებად ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. ქვეყნის წარმატებული აღმშენებლობისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ და რეალიზებულ იქნას საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პირობათა უზრუნველყოფის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ამოცანები.

3. დასკვნა

ინფორმატიზაცია საქართველოში დღეს არაგვემაზომიერად მიმდინარეობს, რის შედეგადაც არათუ ყალიბდება, არამედ ბევრ შემთხვევაში ხელი ეშლება საინფორმაციო საზოგადოებისათვის სავალდებულო ეროვნული საინფორმაციო გარემოს შექმნას.

სოციალურად მნიშვნელოვან და საზოგადოებრივად აუცილებელ საინფორმაციო პროდუქტთა და მომსახურებათა წარმოება და მოხმარება სამართლებრივად და სოციალურ-ეკონომიკურად მოუწესრიგებელია და არ ხდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, საერთოდ საინფორმაციო გარემოს განვითარების სტიმულირება, შეზღუდულია სხვადასხვა სფეროებში ინფორმატიზაციის საშუალებების და საერთოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიების როგორც საჯარო, ასევე კერძო მიზნებით გამოყენება.

საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბება, ინფორმატიზაცია - საერთო ამოცანა და პრობლემაა, ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. აქედან გამომდინარე, ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის უახლოეს მომავალში დაგეგმვა და პრიორიტეტული განხორციელება საქართველოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

ლიტერატურა:

1. სურგულაძე გ., ურუშაძე ბ. (2014). საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება (BSI, ITIL, COBIT). სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.
2. ო. შონია, გ. ჯანელიძე, ბ. მეფარიშვილი. (2009). ინფორმაციული და ქსელური რესურსების უსაფრთხოების უზურნველყოფა. სტუ. თბილისი.
3. კახელი ბ., ქართველიშვილი ი. (2012). ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. სტუ-ს სამეცნ.შრ.კრ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, №2(13), თბილისი. გვ. 114-118.
4. სურგულაძე გ., ბულია ი. (2012). კორპორაციულ Web-აპლიკაციათა ინტეგრაცია და დაპროექტება. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.
5. Акопов А. (2011). Информационное общество и средства массовой информации. (Франция). ГТУ, Сб.научн.трудов „АСУ“, No 1(10), Тбилиси. с.22-26.

**ИНФОРМАЦИОННОЕ ОБЩЕСТВО И ИНФОРМАЦИОННАЯ
БЕЗОПАСНОСТЬ.**

Бурчуладзе Д., Майсурадзе Г., Китиашвили Т.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрели 21 века информации, связанной с состоянием и методы распространения информации, использование его в качестве оружия, как своего рода возможность. Объясняется это, как самые большие угрозы, какой-либо конкретной утечки информации и, чтобы попасть в объятия ее нежелательно. Таким образом, ясно показывает, насколько важно сегодня для защиты информации, чтобы избежать проблем, связанных с его потерей и для кого. Статья подчеркивает важность информационной безопасности, роли информационного общества в целом, а также для государств, в том числе в рамках и за его пределами. Цель состоит в том, чтобы увидеть каждый из истории выше и верно передал проблемы и преимущества настоящего ситуации.

INFORMATION SOCIETY AND CYBER SECURITY

Burchuladze David, Maisuradze Giorgi, Kitiashvili Tamar

Georgian Technical University

Summary

In the article, called "Information Society", have considered the 21st century is the information related to the condition, and the methods of dissemination of information, the use of it as a weapons as a kind of possibility. Explained is how the biggest threats, any specific information leakage and to get into the arms of her undesirable. Therefore, clearly shows how important it is today to protect the information, to avoid problems caused by its loss and for whom. The article highlights the importance of information security, the role of the information society as a whole as well as for States, including within the framework of, and beyond. The objective is to see each of the above story and faithfully conveyed the problems and advantages of the present situation.